# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
# დადგენილება №01-06-02/81

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2023

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევის ლაბორატორიის შექმნისა და ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 7 ნოემბრის №12 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-04/183 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 2023 წლის 29 დეკემბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-04/183 დადგენილება სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევის ლაბორატორიის შექმნის თაობაზე.

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის #01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „გ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევის ლაბორატორია.“.

3. დამტკიცდეს უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევის ლაბორატორიის დებულება (დანართი).

4. დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში და აისახოს უნივერსიტეტის ერთიან საშტატო ნუსხაში.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**

**სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი** **დავით ჯაფარიძე**